

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის
ყოველწლიური ანგარიში და მომდევნო წლის
სამოქმედო გეგმა

თბილისი
2020

შინაარსი

კანონშემოქმედება	3
საპარლამენტო კონტროლი	41
საგარეო პოლიტიკა	70
დია პარლამენტი	72
საქართველოს პარლამენტის აპარატი	73
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის გეგმები	76

კანონშემოქმედება

საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კანონშემოქმედება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 67 პლენარული სხდომა, მათ შორის, 3 რიგგარეშე. მიღებულ იქნა 402 კანონი. მათგან 175 კანონის პროექტი ინიცირებული იყო პარლამენტის შესაბამისი სუბიექტების მიერ, ხოლო 227 კანონის პროექტი – საქართველოს მთავრობის მიერ. მიღებულ იქნა 1241 დადგენილება, მათ შორის, 71 – საკადრო საკითხებზე, 61 – საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების, მემორანდუმის, კონვენციის რატიფიცირების თაობაზე, 1 – კონვენციის ოქმის დენონსირების შესახებ და 1 რეზოლუცია.

2019 წელს მიღებული კანონებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სასამართლო რეფორმის IV ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის დახვეწას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლებას, საჯაროობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ხარისხის გაზრდას. ცვლილებების შედეგად გატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მართლმსაჯულების ეფექტიანად და ჯეროვნად განხორციელებას.

საქართველოს ისტორიაში პირველად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენისა და არჩევის უპრეცედენტოდ ღია, გამჭვირვალე და ხანგრძლივი პროცედურები, რამაც შექმნა პროცესის რამდენიმე ეტაპად წარმართვის, საზოგადოების მიერ უწყვეტი დაკვირვებისა და კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლეების არჩევის პირობები. პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო „ტყის კოდექსი“, რომლის მიღება უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მდგრად ტყითსარგებლობას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას.

პარლამენტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მან დაადგინა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭვირვალე და ერთიანი სისტემა, მისი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება ქმნის ერთიან სამართლებრივ საფუძველს იმისთვის, რომ სახელმწიფომ გაატაროს კოორდინირებული პოლიტიკა ბავშვის დაცვის სფეროში. კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ქმნის მათი დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემას და ამ სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს.

ტრადიციულად, პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო განათლების სფეროს. ცვლილებების შედეგად მოხდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „დედაენის“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის საკანონმდებლო დონეზე დაცვა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობის კუთხით. კერძოდ, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დარეგისტრირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს გამოცდის ჩაბარება ან გამოცდაში მონაწილეობის მიღება ე. წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გამო, კანონის მიხედვით მიეცათ საშუალება, პირობით ჩაირიცხულიყვნენ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად შემუშავდა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და მათგან გამომდინარე კანონების პროექტები. წარმოდგენილი პაკეტით იწერება ენერგეტიკული ბაზრის

ახალი მოდელი, ხდება გადამცემი სისტემებისა და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების განცალკევება, ასპარეზზე გამოდიან ბაზრის ახალი მონაწილეები, იქმნება ტრეიდერისა და მიმწოდებლის ინსტიტუტები, დგინდება ლიცენზიის ახალი სახეობები.

პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მაქსიმალურად არის ორიენტირებული მოქალაქეებზე. მასში მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული პენსიებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის, ჯარისკაცების, პოლიციელების, მეხანძრე-მაშველების, ექიმების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებლების ხელფასებისთვის, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, მათ შორის, დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისთვის, საჭირო დაფინანსების გასაზრდელად.

კომიტეტების კანონშემოქმედებითი საქმიანობის დეტალური ანგარიში

აგრარულ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტმა გამართა 25 სხდომა, რომელთა ფარგლებშიც განხილულ იქნა 113 საკითხი, მათ შორის, 99 – კანონშემოქმედებითი და 14 – საზედამხედველო საქმიანობის კუთხით. კომიტეტის მიერ ინიცირებულია 12 კანონპროექტი.

კომიტეტის წევრებმა საანგარიშო პერიოდში სამუშაო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მოსახლეობასთან, ფერმერებთან, აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი საკითხები განხილულ იქნა კომიტეტის სხდომებზე.

აგრარულ საკითხთა კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში. ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ კანონპროექტებზე:

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი – კანონპროექტის მომზადება განპირობებული იყო საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებით. კერძოდ, კონსტიტუციური ნორმით დადგინდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრება. იგი შეიძლება იყოს სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, მისი მიღებით დადგინდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭვირვალე და ერთიანი სისტემა მისი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის ამოწურვადი რესურსი, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ადამიანის ზემოქმედებისა თუ ბუნებრივი/კლიმატური გარემოს ცვლილების შედეგად. მისი რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, რაციონალური გამოყენების პრინციპების დაცვით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეთათვის აღნიშნული რესურსის ხელმისაწვდომობა. მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები არ იძლევა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სწორი მართვისათვის საკმარის ინფორმაციას. მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ვინაიდან სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. მიწის ეფექტიანი მართვის, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობის, შემაფერხებელი გარემოება იყო მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა, რაც აძნელებდა სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.
- „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. აღნიშნული კანონი ხელს შეუწყობს მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას. აღნიშნული კანონი ადგენს მიწის რესურსების აღრიცხვის, მიწის ბალანსის შედგენის და სტატისტიკური

მონაცემების წარმოების სამართლებრივ საფუძველს. კანონით განსაზღვრულია მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიების ცვლილების წესი. კანონი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის სახელმწიფო ინსტიტუციურ მოწესრიგებას. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის სახელმწიფო ინსტიტუციურ მოწესრიგებას. ამ მიზნით შეიქმნა და 2020 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქციებია მიწის ბალანსის შედგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებს და მათგან გამომდინარე საქართველოს კანონების პროექტებს.
- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს კანონის პროექტს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. პროექტის შემუშავების მიზანი იყო 2016 წელს დაწყებული რეფორმით დასახული მიზნის სრულად განხორციელება და ამ დროისთვის უკვე აპრობირებული, ქმედითი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხელშეწყობა. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის პირველადი რეგისტრაციის პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული სახით წარმოდგენილი, კანონპროექტის შესაბამისად, კანონის მოქმედების ვადა 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა, რამაც შექმნა საფუძველი, რომ გაგრძელებულიყო მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში სისტემური და სპორადული წესებით მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე

უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური წესისა და შეღავათების გათვალისწინებით.

- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების შემდეგ პროექტებს: „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის მიღების მიზეზი იყო ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ყოველთვის წარმოადგენდა ეფექტიანი საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს კი – სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველყოფაა. 2010 წელს „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების გამო საქართველოში ირიგაციის დარგისთვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ნიადაგის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, ტექნიკური დონის ამაღლება, ეფექტიანი ფუნქციონირება, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სრულყოფა, მიზანშეწონილი გახდა თანამედროვე მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება. კანონი დაარეგულირებს ირიგაციის სფეროში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების საქმიანობას და ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას. იგი უზრუნველყოფს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისა და განვითარებისათვის ეფექტიან და ხელსაყრელ სამართლებრივ საფუძვლებს, მოაწესრიგებს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მიერ საირიგაციო ინფრასტრუქტურის სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების შემდეგ პროექტებს: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის

შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის მიღების მიზანი იყო მოქმედი კანონის დახვეწა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2013 წელს, მის საფუძველზე კი შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სააგენტოს ერთ-ერთი საქმიანობა იყო კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული იურიდიული პირისათვის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მინიჭება. ამის შედეგად 2014 წლიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 2172 კოოპერატივს. დღევანდელი მდგომარეობით, მათგან სტატუსი შენარჩუნებული აქვს 1018 კოოპერატივს. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება მიზნად ისახავდა კანონით რეგულირებული საკითხების სამართლებრივ მოწესრიგებას – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერების, მათი მეპაიეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობის და, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების უზრუნველყოფას.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

კანონშემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში 2019 წელს კომიტეტმა განიხილა 459 კანონპროექტი – 78 საკანონმდებლო ინიციატივა, მათ შორის, 47 საკანონმდებლო პაკეტი (428 კანონპროექტი) და 31 ცალკეული კანონპროექტი; 9 საკანონმდებლო წინადადება. მათგან 17 საკანონმდებლო ინიციატივა და 9 საკანონმდებლო წინადადება მან განიხილა, როგორც წამყვანმა კომიტეტმა. მათ შორის აღსანიშნავია:

- ბავშვის უფლებათა კოდექსი – კოდექსი ქმნის ერთიან სამართლებრივ საფუძველს იმისთვის, რომ სახელმწიფომ გაატაროს კოორდინირებული პოლიტიკა ბავშვის დაცვის სფეროში. კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ქმნის მათი დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემას

და ამ სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს. კოდექსის ამოქმედება, გრძელვადიან პერსპექტივაში, შედეგად მოიტანს ბავშვთა სიღარიბის დაძლევის, მათ ეფექტიან დაცვას ძალადობისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისგან, ნარკოტიკებისა და აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენისგან, მედიიდან და ინტერნეტიდან მომდინარე საფრთხეებისგან, უზრუნველყოფს მათთვის ინკლუზიური განათლებისა და უმაღლესი სტანდარტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული პროგრამები განსაკუთრებული შედეგის მომტანი იქნება მაღალი რისკის ჯგუფებისთვის.

- საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – წარმოდგენილი ცვლილების შედეგად გაძლიერდა პრევენციული მექანიზმები ძალადობის განმეორების თავიდან ასაცილებლად და გამკაცრდა პასუხისმგებლობა მოძალადის მიმართ. საკანონმდებლო ცვლილება მოძალადისთვის სავალდებულოს ხდის, გაიაროს ქცევის კორექციის კურსი იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა მისთვის დამცავი ორდერის გამოწერა. გაიზარდა ძალადობის მსხვერპლისა და დაზარალებულის საპროცესო უფლებები, მსხვერპლთათვის გაუქმდა მოძალადის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება, რაც, თავის მხრივ, ხელშემწყობი ფაქტორებია მათთვის, დაიცვან საკუთარი უფლებები სასამართლოს გზით. ცვლილება უზრუნველყოფს აგრეთვე საბაზისო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის კომპონენტის გათვალისწინებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ამ მიმართულებით. ასევე დანაშაულად გამოცხადდა მოძალადის მიერ ცივი იარაღის ტარება, ხოლო ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამკაცრდა. ეს შეამცირებს მსხვერპლთა მიმართ განმეორებითი და უფრო მძიმე დანაშაულების ჩადენის რისკებს.
- საქართველოს კანონი „არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – ცვლილების თანახმად, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მსჯავრდებულისათვის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გაცემის, მისი ვადის გაგრძელებისა და ნებართვის

მოქმედების შეწყვეტის კრიტერიუმები. ცვლილება ითვალისწინებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის, როგორც სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის, შექმნას. არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საჯარო და კერძო სამართლის დაწესებულებების აქტიური ჩართულობით განახორციელებს არასრულწლოვანთა რეფერირების სისტემის კოორდინაციას. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება არის მსჯავრდებულ პირთა, მათ შორის, არასრულწლოვანთა, ინტერესების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის მაგალითი ქართულ მართლმსაჯულებაში.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

2019 წელს გაიმართა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის 37 სხდომა. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი წამყვან კომიტეტად განისაზღვრა 13 კანონპროექტზე. მათგან 7 კანონპროექტი იყო საქართველოს პარლამენტის წევრების, 1 – განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის, 4 – საქართველოს მთავრობის და 1 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივა.

კომიტეტში განსახილველად შემოსული იყო 6 საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც განხილვის პროცესშია.

კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 13 სავალდებულო დასკვნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე.

კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონით გაუქმდა სკოლის გამოსაშვები გამოცდები, რაც გულისხმობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დამლევის შემდეგ გაცემას. კანონი მიზნად ისახავს ძლიერი და დამოუკიდებელი სკოლის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მომავალი თაობის მაღალი ხარისხის განათლებით უზრუნველყოფაზე და არა მხოლოდ სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადებაზე.

- საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონის მიხედვით, მოხდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „დედაენის“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის საკანონმდებლო დონეზე დაცვა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

კანონის საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოს მომზადებასა და გრიფირებისათვის წარდგენას. კომისია ასევე უფლებამოსილია დაადგინოს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე შექმნილი ალტერნატიული სახელმძღვანელოების ზემოთ აღნიშნულ ძეგლთან შესაბამისობა.

- საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აძლევდა უფლებას, განეხორციელებინა მაუწყებლობა.

კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ ტელემაუწყებლობის განხორციელების უფლება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყონ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევების, უმაღლესი განათლების სტიმულირება და მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება უნივერსიტეტში მიმდინარე ამბების შესახებ.

- საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგებისთვის დანამატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ, სტატუსის მქონე

პედაგოგებისთვის დანამატის გაცემის შესახებ პუნქტებში არსებული შეზღუდვების მოხსნას და წესის შემუშავებას, რომელიც გულისხმობს სქემით განსაზღვრული მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული ოდენობით გაცემას, თუ თავად პედაგოგი არ განაცხადებს უარს, დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის შესაბამისად, შეთავაზებული 13- ან 15-საათიანი განაკვეთით დატვირთვაზე.

- საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

2019 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დარეგისტრირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს გამოცდის ჩაბარება ან გამოცდაში მონაწილეობის მიღება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ენგურის ხიდზე მდებარე ე. წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გამო, კანონის მიხედვით მიეცათ საშუალება, პირობით (იმ შემთხვევაში, თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა აბიტურიენტმა, რომელმაც ჩააბარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუმცა არ გაიარა სასწავლებელში რეგისტრაცია, აიღო აკადემიური შვებულება, მას შეუწყდება სახელმწიფო დაფინანსება) ჩარიცხულიყვნენ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- საქართველოს კანონების პროექტები: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კანონის მიხედვით, მსჯავრდებულებს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება მიეცათ. ასევე, კანონის მიხედვით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების მიღების წესსა და პირობებს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში გამართა 22 სხდომა. კომიტეტი წამყვანი იყო 41 კანონის პროექტზე და 1 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე. კომიტეტმა განიხილა 1 საკანონმდებლო წინადადება. კომიტეტმა სავალდებულო დასკვნის მოსამზადებლად განიხილა 20 კანონის პროექტი და 5 საერთაშორისო ხელშეკრულება. კომიტეტის მიერ ინიცირებულია 3 კანონის პროექტი. კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მიერ ინიცირებულია 13 კანონის პროექტი.

კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ტყის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე 22 კანონის პროექტი.

კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მდგრად ტყითსარგებლობას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას.

- კანონპროექტები „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუტებისა და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობისათვის აუცილებელი უსაფრთხო გარემოს შექმნას. კანონპროექტი ადგენს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითად პრინციპებს და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მათი მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. იგი ითვალისწინებს აგრეთვე ურბანულ გარემოში მათთვის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნას და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრასა და მართვას, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონის პროექტი „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონპროექტის მიღებამ მყარი გარანტიები შეუქმნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის იმ თანამშრომელთა სოციალურ დაცვას, რომლებიც ახორციელებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენას ან/და აღკვეთას და რომლებიც მომეტებული რისკების პირობებში საფრთხის ქვეშ აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.
- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონის პროექტი შემუშავდა კომიტეტის მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევის – „თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ“ საფუძველზე და თბილისის მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით. მიღებულმა კანონმა დაარეგულირა ატმოსფერული ჰაერის ისეთი მნიშვნელოვანი დამბინძურებლის, როგორცაა „ამტვერებადი მასალები“, შენახვისა და რეალიზაციის წესები და დააწესა შესაბამისი სანქციები ამ წესების დარღვევისათვის.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა 216 კანონის პროექტი (გამომდინარე კანონპროექტების ჩათვლით). მათგან 42 კანონპროექტზე იგი იყო წამყვანი კომიტეტი, ხოლო 174 კანონპროექტზე მოამზადა სავალდებულო დასკვნა. აღნიშნულ პერიოდში გაიმართა 49 კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის შემოსული 47 საერთაშორისო ხელშეკრულება. მათგან 5 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე იგი იყო წამყვანი კომიტეტი. კომიტეტმა განიხილა აგრეთვე 8 საკანონმდებლო წინადადება.

მნიშვნელოვანი კანონპროექტები:

- „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები.

კანონის პროექტი ემსახურება მთელი რიგი პრაქტიკული და სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას და კანონის აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას.

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და გამომდინარე კანონების პროექტები.

კანონპროექტები შემუშავდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. წარმოდგენილი პაკეტით იწერება ენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელი, ხდება გადამცემი სისტემებისა და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების განცალკევება, ასპარეზზე გამოდიან ბაზრის ახალი მონაწილეები, იქმნება ტრეიდერისა და მიმწოდებლის ინსტიტუტები, დგინდება ლიცენზიის ახალი სახეობები.

- „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ კანონის პროექტი.

კანონპროექტი ითვალისწინებს ისეთი სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რომლებითაც ხელი შეეწყობა და წახალისდება ადგილობრივი განახლებადი ენერგორესურსების გამოყენება ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ტრანსპორტის სექტორში.

- „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონების პროექტები.

კანონის ამოქმედების შემდეგ აუცილებელი გახდება საქართველოს ბაზარზე განთავსებული ან/და საქართველოში ექსპლუატაციაში გაშვებული ენერგომომხმარებელი პროდუქტის მიერ ენერჯისა და სხვა რესურსების მოხმარების მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მითითება. ეს საბოლოო მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთოს სასურველი არჩევანი.

➤ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და გამომდინარე კანონების პროექტები.

კანონპროექტი მიზნად ისახავს სამშენებლო საქმიანობაში, ტრანსპორტისა და ინფორმაციის გავრცელების სფეროებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის გაუთვალისწინებლობისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრას და ამასთან დაკავშირებით აღსრულების მექანიზმის შემუშავებას.

➤ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და გამომდინარე კანონების პროექტები.

ორგანული კანონის პროექტის მიღებით დადგინდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამჭირვალე და ერთიანი სისტემა, მისი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვით.

➤ „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და გამომდინარე კანონების პროექტები.

კანონპროექტის მიღების მიზანია მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვა, ამ პროცესის კიდევ უფრო გამარტივება, საკადასტრო მონაცემების სრულყოფა და შესაბამისი უფლებების მქონე კერძო პირთა სახელზე მაქსიმალური ოდენობის მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია.

➤ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და გამომდინარე კანონების პროექტები.

საკანონმდებლო ინიციატივა განსაზღვრავს დაზღვევის სფეროში საშუაშაველო საქმიანობის მკაფიო ჩარჩოს, სისტემატიზაციაში მოჰყავს

საშუამავლო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები, ასევე განსაზღვრავს მკაფიო მოთხოვნებს სადაზღვევო ბროკერების მიმართ. დგინდება დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობისა და მისი სახელმწიფო რეგულირების ნორმები, მომხმარებლის დეფინიცია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მზღვეველის ვალდებულებების ჩარჩო და სამსახურის კომპეტენციის ფარგლები.

➤ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და გამომდინარე კანონების პროექტები.

კანონპროექტის მიზანია მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენცია და დარღვეული უფლებების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. კანონპროექტი შექმნის მომხმარებლის უფლებების დაცვის ძირითად საკანონმდებლო საფუძველს, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებთან იქნება მიახლოებული. იგი აერთიანებს ევროკავშირის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.

➤ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი.

კანონპროექტის თანახმად, 12 წლამდე და 135 სანტიმეტრამდე ბავშვის მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძლით გადაყვანისას გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური საბავშვო ეტლი, სავარძელი ან დამჭერი მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება ბავშვის სიმაღლესა და წონას.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტების აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების, დარგობრივი მიმართულებებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებზე მუშაობის დროს, აგრეთვე სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით კომიტეტმა გამართა 21 სხდომა, ათეულობით მნიშვნელოვანი შეხვედრა და სხვა ფორმატის ღონისძიებები, მოისმინა შესაბამისი ინფორმაციები, შეიმუშავა სათანადო დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები.

საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით, დარგობრივი სპეციფიკის/კომპეტენციის გათვალისწინებით, საყურადღებოა კომიტეტის მიერ განხილული შემდეგი კანონპროექტები:

- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ინიციატივით ცვლილება განხორციელდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

ცვლილების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთა მიმართ 2018 წლის 15 აგვისტომდე არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგვის თაობაზე, მიეცათ დამატებითი ვადა – 2020 წლის 31 დეკემბრამდე, რათა მოითხოვონ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება.

საფინანსო-საბიუჯეტო კუთხით, კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტებიდან და დოკუმენტებიდან საყურადღებო იყო:

- „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წელს გამართა 23 სხდომა. მან განიხილა 107 კანონპროექტი და 4 საერთაშორისო შეთანხმება. საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტების შედეგად უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობის სრული ან ნაწილობრივი დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ 18-მდე დირექტივასა და რეგულაციასთან. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი კანონპროექტები:

- საქართველოს მთავრობის მიერ შეერთებისთვის წარმოდგენილი „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 2002 წლის ათენის კონვენცია და შეერთებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

საკანონმდებლო ინიციატივით დადგინდა პასუხისმგებლობის ზომები გემით მგზავრთა გადაყვანისას მგზავრის გარდაცვალებისთვის ან მისთვის მიყენებული ფიზიკური ზიანისთვის, აგრეთვე იმ ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია ბარგის დაზიანებამ ან დაკარგვამ.

- საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკანონმდებლო ცვლილებებით ჩამოყალიბდა სექსუალური შევიწროების დეფინიცია, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი გამოვლინებისა როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში, დაწესდა პასუხისმგებლობა დამრღვევისთვის და გაფართოვდა სახალხო დამცველის უფლებამოსილება დისკრიმინაციის ფაქტებზე ზედამხედველობის კუთხით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგდა სექსუალური შევიწროების საკითხი საჯარო სივრცეში, დადგინდა ტერმინი „სექსუალური შევიწროება“ და საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი სანქციები.

საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით ეროვნულ კანონმდებლობა დაუახლოვდა 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006/54/EC დირექტივას, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას.

- საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონსა და თანამდევ კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკანონმდებლო ცვლილებებით რეგულირების სფეროში მოექცა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოს და ნიკოტინის ნაწარმი. კანონმდებლობაში შემოვიდა ტერმინები – „თამბაქოს ახალი ნაწარმი“, რომელიც წარმოადგენს თამბაქოს და ნიკოტინის ნაწარმს, რომელიც არ არის დაკავშირებული წვის პროცესთან, „ელექტრონული სიგარეტი“, რომელიც გამოიყენება

ნიკოტინის შემცველი ორთქლის მოხმარებისთვის; დაზუსტდა „სიგარეტის“ განმარტებაც.

საკანონმდებლო ცვლილებები დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით ეროვნული კანონმდებლობა დაუახლოვდა ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXI დანართით გათვალისწინებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/40/EU დირექტივას „თამბაქოს პროდუქტების წარმოების, პრეზერვაციისა და რეალიზაციის თაობაზე წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ, რომელმაც გააუქმა 2001/37/EC დირექტივა“.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს დერივატივული და ფინანსური გირავნობის გარიგებების მყარი და მოქნილი საკანონმდებლო სისტემის შექმნას.

საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით ეროვნული კანონმდებლობა დაუახლოვდა „ფინანსური გირაოს შესახებ“ 2002/47/EC დირექტივას.

- საქართველოს კანონების პროექტები: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ეფექტიანი დაცვა, ხოლო მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო აღჭურვილი იქნება სათანადო მექანიზმებითა და უფლებამოსილებებით როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მიმართ. ამასთანავე, კანონპროექტის მიღების შედეგად გაიზრდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სტანდარტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში კანონმდებლობა დაიხვეწება და იქნება მეტად განჭვრეტადი, ამავდროულად, გაიზრდება პერსონალური მონაცემების საზედამხედველო ორგანოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, შეიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგრადი და ეფექტიანი მექანიზმები.

კანონპროექტით ხდება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩოგადაწყვეტილებასა და ევროკავშირის 2016 წლის 27 აპრილის მონაცემთა დაცვის შესახებ 2016/676 რეგულაციასთან (GDPR) შესაბამისობის უზრუნველყოფა.

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

კანონპროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით ენერგოეფექტურობის ზრდას და, შესაბამისად, ენერჯის დაზოგვას ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზებით. ამ მიზნით კანონის პროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის ფარგლებში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების დანერგვისთვის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრას.

საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან. საკანონმდებლო ინიციატივით ეროვნული კანონმდებლობა

დაუახლოვდება ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/27/EU დირექტივას „ენერგოეფექტურობის შესახებ“.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

2019 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის ბიურომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს დაავალა სავალდებულო დასკვნის შემუშავება 18 კანონპროექტთან დაკავშირებით. მათგან 3 კანონპროექტი იყო საქართველოს მთავრობის, ხოლო 15 კანონპროექტი – საქართველოს პარლამენტის წევრების ინიციატივა.

საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი წამყვან კომიტეტად განისაზღვრა 20 კანონპროექტზე. მათგან 16 კანონპროექტი იყო საქართველოს მთავრობის, ხოლო 4 კანონპროექტი – საქართველოს პარლამენტის წევრების ინიციატივა.

კომიტეტის მიერ 2019 წელს განხილული კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის

თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონების პროექტები: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოა. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმირებისათვის და მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოსამზადებლად. საბჭო აგრეთვე კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვასა და კოორდინაციას. კანონით განისაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილებები, შემადგენლობა, საბჭოს მდივნისა და საბჭოს აპარატის ფუნქციები. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი არის პოლიტიკურად ნეიტრალური, სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული რეჟიმის სამსახური, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე თანამდევ კანონებში.

- საქართველოს კანონების პროექტები: „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია ორი მოსმენით).

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მთელი რიგი ლიცენზიების გაცემა სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, თუმცა სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის წესი დღეისათვის კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული. წარმოდგენილი ცვლილებით კანონს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, სამხედრო-ტექნიკურ

საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 37¹ პუნქტი განსაზღვრავს ლიცენზიის ერთ-ერთ სახეს – სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიას, მაგრამ კანონით განსაზღვრული არ არის სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანო, მისი გაცემის საფუძველი და რეკომენდაციის გაცემის წესი. პროექტით განისაზღვრა, რომ სამხედრო პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გამცემი ორგანოა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ლიცენზიის გაცემისას ლიცენზიის მაძიებელმა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარადგინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით დგინდება მოსაკრებელი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბროკერო მომსახურების ლიცენზიის გაცემისათვის და „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ როგორც სამხედრო, ისე ორმაგი დანიშნულების პროდუქციასთან მიმართებით – საბროკერო მომსახურებისა და ტექნიკური დახმარების ნებართვის გაცემისათვის.

- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდება სპეციალური მომზადების ცენტრი, რომელიც უფლებამოსილი იქნება,

სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად განახორციელოს სამსახურში გარკვეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატებისა და სამსახურის მოსამსახურეთა მომზადება და გადამზადება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

2019 წელს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გამართა 64 სხდომა. ამ სხდომებზე განხილულ იქნა 91 საკანონმდებლო ინიციატივა (მათ შორის, 421 კანონპროექტი და საქართველოს პარლამენტის დადგენილების 5 პროექტი):

- წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 67 საკანონმდებლო ინიციატივა (მათ შორის, 223 კანონპროექტი და პარლამენტის დადგენილების 4 პროექტი);
- სავალდებულო დასკვნის წარმდგენი კომიტეტის სტატუსით – 24 საკანონმდებლო ინიციატივა (მათ შორის, 198 კანონპროექტი და პარლამენტის დადგენილების 1 პროექტი).

მათ შორის აღსანიშნავია:

- სასამართლო რეფორმის IV ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი: საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას. აღნიშნული ცვლილებების შედეგად დაიხვეწა მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა, ამალდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, საჯაროობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ხარისხი და გატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მართლმსაჯულების ეფექტიანად და ჯეროვნად განხორციელებას (საქართველოს ორგანული კანონების პროექტები: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“).
- საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენისა და არჩევის უპრეცედენტოდ ღია, გამჭვირვალე და ხანგრძლივი პროცედურები, რამაც შექმნა პროცესის რამდენიმე ეტაპად წარმართვის, საზოგადოების მიერ უწყვეტი დაკვირვებისა და კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლეების არჩევის პირობები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ხსენებული პროცედურების საფუძველზე 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განახორციელა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 20 კანდიდატის საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა კანონების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ამ კანდიდატების კომიტეტის საჯარო სხდომებზე მოსმენა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსმენა უპრეცედენტოდ ღიად, გამჭვირვალედ, ხანგრძლივად, უმაღლესი სტანდარტით (მათ შორის, საჯაროობის უმაღლესი სტანდარტით) და საქართველოს კანონმდებლობის ზედმიწევნით დაცვით წარიმართა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კომიტეტის სხდომებზე მოსმენას 20 დღე დაეთმო (საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).

➤ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები: საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სახელმწიფო ინსპექტორს მიეცა გონივრული ვადა საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, თანამშრომლების შესარჩევად და სათანადო აქტებისა და დოკუმენტების მოსამზადებლად, რამაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამის ნორმებთან მიმართებით დადგენილი პროცედურული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება უზრუნველყო. გარდა ამისა, დაიხვეწა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიების ჩატარების მექანიზმები და პროცედურები, ნათლად განისაზღვრა გამოძიების ჩატარებისა და ოპერატიულ-სამმებრო საქმიანობის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობები (საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები; საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები; საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).

➤ მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივა: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით და შესაბამისი

საკანონმდებლო ცვლილებებით შეიქმნა მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის წახალისებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბაზა. აღნიშნული კანონი და ცვლილებები ხელს შეუწყობს მედიატორის პროფესიისა და მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, განვითარებას (საქართველოს კანონის პროექტი „მედიაციის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).

➤ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი: საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება საკადასტრო მონაცემების სრულყოფას და შესაბამისი უფლებების მქონე კერძო პირთა სახელზე მიწის ნაკვეთების სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრას. საკანონმდებლო ცვლილებებით გაფართოვდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლები, საგულისხმოდ გამარტივდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი და აღმოფხვრა ის პრობლემები, რომლებიც თავს იჩენდა ამ პროცესში. აღნიშნული ცვლილებები საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა, ამასთანავე, უზრუნველყოფს მიწის ბაზრის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება (საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).

➤ „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ კანონის პროექტი: ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისა და საურავის გადახდისგან სრულად გათავისუფლდნენ საზოგადოების ეკონომიკურად განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები, რომლებმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს, კერძოდ: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები 100001 ქულაზე ნაკლებია; ასაკით პენსიონრები; 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები; მარტოხელა მშობლის სტატუსის

მქონე პირები; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები (საქართველოს კანონის პროექტი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“).

- უცხოელებისთვის საინვესტიციო, მოკლევადიანი და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის წესების ახლებურად მოწესრიგებასთან დაკავშირებული კანონპროექტი: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის სამართლებრივი ჩარჩო საკანონმდებლო ცვლილებით იმგვარად შეიცვალა, რომ იგი, ერთი მხრივ, უპასუხებს ქვეყნის წინაშე არსებულ საიმპერაციო გამოწვევებს და, მეორე მხრივ, გაზრდის ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაში (საქართველოს კანონის პროექტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“).
- საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლითაც საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის – ნატოს სამხედრო ხომალდებისთვის დაადგინოს საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში შემოსვლისა და რეიდზე დგომის განსხვავებული წესი, რაც ხელს შეუწყობს ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავებას და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაუმჯობესებას (საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“).
- „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც დანაშაულის, განსაკუთრებით კი ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობას უზრუნველყოფს (საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და საქართველოს კანონმდებლობის

ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივებთან დასაახლოებლად იქნა ინიცირებული და მიღებული (საქართველოს კანონის პროექტი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).

- საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფრო ეფექტიანად განხორციელებას (საქართველოს კანონის პროექტი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივა: საკანონმდებლო ინიციატივა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს სქესობრივი დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულ პირთა უსაფრთხოებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას (საქართველოს კანონის პროექტი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები).
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლითაც გამკაცრდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილას არაუფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისთვის. აღნიშნულ ცვლილებას ექნება პრევენციული ეფექტი და შეამცირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილას არაუფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების შემთხვევებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უკეთ დაცვას და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ მეტ ჩართულობას (საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“).

- საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებული დავის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. საკანონმდებლო ინიციატივა უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით მართლმსაჯულების უფრო ეფექტიანად და ჯეროვნად განხორციელებას (საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“).
- საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც მოწესრიგდა სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის საკითხი. საკანონმდებლო ცვლილება ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში დაცვისა და ბრალდების მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების განმტკიცებას (საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“).

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა 30 კანონპროექტი და 1 საკანონმდებლო წინადადება. საქართველოს მთავრობის მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი იყო 34 საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. მომზადდა კომიტეტის 80 დასკვნა. კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.
- წარმოდგენილი კანონის პროექტით მუნიციპალიტეტებს, მსგავსად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა, მიეცათ უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავებისა და სარგებლობის შემთხვევაში აღკვეთონ აღნიშნული სამართალდარღვევა.
- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ

კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გახშირებულია როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების მიზნით ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ისე განსაკუთრებით სპეციალური რეგულარული (გარკვეული ჯგუფის მგზავრები – დასაქმებულები, მოსწავლეები, სტუდენტები) გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა. აუცილებელია ამ სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მოწესრიგება, რაც გამოიწვევს დედაქალაქში როგორც საგზაო მოძრაობის განტვირთვას, ისე სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა უსაფრთხო მომსახურების დონის ამაღლებას. ამის გამო მომზადდა საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების დადგენასა და დამტკიცებას, ხოლო ამ მარშრუტების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი კანონპროექტით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ შემოღებული იქნება ადმინისტრაციული სახდელი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა წლის განმავლობაში განიხილა 33 კანონპროექტი, საქართველოს მოქალაქის 1 საკანონმდებლო ინიციატივა, პარლამენტის წევრების 6 საკანონმდებლო ინიციატივა, მათ შორის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრების მიერ ინიცირებული საქართველოს პარლამენტის დადგენილებები, რომლებიც ეხებოდა მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებებში ცვლილებებს.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში მოწვეულ იქნა 28 კომიტეტის სხდომა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა იმუშავა 69 საკანონმდებლო აქტის პროექტსა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების 13 პროექტზე, მათ შორის, წამყვანი კომიტეტის სტატუსით – 11 საკანონმდებლო აქტის პროექტზე, ხოლო იმ კომიტეტის სახით, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, – 58 საკანონმდებლო აქტის პროექტზე. მათ შორის აღსანიშნავია:

კომიტეტის მიერ განხილული მნიშვნელოვანი კანონპროექტები:

- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი. იგი პარლამენტის მიერ მიღებულია სამი მოსმენით. კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

თანამდებობის პირთა წრის დაზუსტება და გაფართოება:

კანონში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზანია, არ მოხდეს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულების მიღმა დარჩენა. კანონს დაემატა და დაზუსტდა იმ თანამდებობის პირების ჩამონათვალი, რომლებიც ცვლილებების განხორციელებამდე არ ავსებდნენ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას. ცვლილება მოიცავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების თანამდებობის პირებს, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნებს, საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილესა და მოადგილეს, რაც განპირობებულია მათი სამართლებრივი სტატუსით.

დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების მოწესრიგება:

ახალი რეგულირება გამორიცხავს, რომ დეკლარირების მიღმა დარჩეს კალენდარული წელი (საანგარიშო პერიოდი).

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემაში ცვლილების განხორციელების შედეგად საჯარო სამსახურის ბიუროს მიეცემა შესაძლებლობა, შეამოწმოს თანამდებობის პირების შერჩევის დასრულების შემდეგ, უშუალოდ მონიტორინგის დაწყების მომენტისათვის ამ თანამდებობის პირების მიერ ბოლოს წარმოდგენილი დეკლარაციები.

კანონპროექტის თანახმად, კანონში ცალკე პუნქტად ჩამოყალიბდა კონკრეტული კრიტერიუმების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც

ჩაითვლება დარღვევის არარსებობად, თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას დაშვებული ცდომილებების მიუხედავად.

- პარლამენტის მიერ მიღებულია და ძალაში შესულია საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსისა და ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ დადგენილებები.

„საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის“ მიღება იყო ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება და რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია. ეთიკის კოდექსის მიღებამდე არ არსებობდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა პარლამენტის წევრის ქცევის ეთიკური ნორმები, მით უმეტეს, რომ პარლამენტის წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა განიხილება, როგორც კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, და ემსახურება საზოგადოების წინაშე დეპუტატების ანგარიშვალდებულების ამალგებას.

შეიქმნა ეთიკის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის აღსრულებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან საჩივრის საფუძველზე განიხილოს პარლამენტის წევრის მიერ ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევის ფაქტები. იგი დარღვევის შემთხვევაში აქვეყნებს შესაბამის ინფორმაციას პარლამენტის ვებგვერდზე, აგრეთვე გასცემს რეკომენდაციებს.

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელდა 2 ცვლილება:

- პირველი ცვლილება:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლში განხორციელებული ცვლილებით საქართველოს პარლამენტში დაწესებულ საპარლამენტო ჯილდოებს დაემატა „პარლამენტის სამკერდე ნიშანი“, რომლითაც დაჯილდოვდება პარლამენტის აპარატის თანამშრომელი პარლამენტში არანაკლებ 25-წლიანი წარმატებული სამსახურისთვის. დაჯილდოების მექანიზმის შემოღებით პარლამენტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იგი სათანადოდ აფასებს პარლამენტის აპარატში მუშაობის სოლიდურ საერთო სტაჟს, გამოცდილებას, კეთილსინდისიერ, წარმატებულ საქმიანობას, დაკისრებული მოვალეობების ერთგულებას. აღნიშნული მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების პარლამენტის აპარატში დამაგრებას, მოტივაციის შენარჩუნებასა და ამალგებას.

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის 26 იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლების საზეიმო დაჯილდოების პირველი ცერემონია.

➤ მეორე ცვლილება:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 157-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებით დეტალურად განისაზღვრა ნდობის ჯგუფის ფორმირების წესი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნდობის ჯგუფის შემადგენლობის უფრო მოქნილი წესით ფორმირება.

გაფართოვდა რეგლამენტის 156-ე მუხლით განსაზღვრული თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ჩამონათვალი – მას დაემატა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

კომიტეტმა 2019 წლის განმავლობაში გამართა 34 კომიტეტის სხდომა, რომლებზედაც განხილულ იქნა 170 საკითხი. მათგან 105 საკითხზე კომიტეტი იყო წამყვანი კომიტეტი, ხოლო 65 საკითხზე მოამზადა სავალდებულო დასკვნა. მოსმენილ იქნა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების 20 სხვადასხვა ანგარიში, განხილულ იქნა 5 საბიუჯეტო განაცხადი.

განხილულ იქნა 49 საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, რომელთა უმეტესობაზე კომიტეტი იყო წამყვანი. კერძოდ, იგი წამყვანი იყო 43 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე, ხოლო სავალდებულო დასკვნა მოამზადა 6-ზე.

აღსანიშნავია ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კანონპროექტები:

➤ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანამდევ კანონპროექტები. კანონპროექტში საუბარია საჭიროების შემთხვევაში კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს შესახებ, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო საფუძვლის შექმნას კომერციულ ბანკში ფინანსური თუ სხვა ტიპის პრობლემის დროს, ეროვნული ბანკის მიერ ადრეულ რეაგირებას და ბანკის გაჯანსაღებას სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური დანახარჯებით.

➤ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი.

კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სისტემისკენ მიმართული ფინანსური რესურსების ზრდის მიზნით შემუშავებული და საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი.

კანონპროექტის თანახმად, ქვეყანაში მაღალი ხარისხისა და კონკურენტუნარიანი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება განათლების სისტემაში დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა, ხოლო 2022 წლისთვის გათვალისწინებულია, რომ განათლების სისტემის დაფინანსება არ უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები.

- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი.

პროექტით საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე.

- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტი.

კანონპროექტი უზრუნველყოფს ევროკავშირის მეოთხე დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას, აგრეთვე 2012 წლის ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) შეფასების ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულებას.

- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონპროექტი.

ცვლილების განხორციელების მიზანია ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმიდან და ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნების გათვალისწინება. წარმოდგენილია ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, რომლითაც უქმდება მოქმედი კანონი.

პროექტით წესრიგდება ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში წარმოებასთან, გადაცემასთან, განაწილებასთან, მიწოდებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები.

- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი.

კანონპროექტით ელექტროენერგიის კერძო იმპორტიორებისთვის ტარიფების გარეშე იქნება შესაძლებელი ელექტროენერგიის იმპორტი. ამდენად, ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებული თავისუფალი საბაზრო ფასით.

- „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ფართოვდება აქციზის გადასახადის გადამხდელ პირთა წრე და მას ემატება ის პირი, რომელიც ახორციელებს თამბაქოს ნაწარმთან დაკავშირებული (მათ შორის, თამბაქოს ნედლეული/თამბაქოს ნარჩენები), აგრეთვე ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქოს მიწოდებას.

- საბაჟო კანონმდებლობის რეფორმა.

კომიტეტმა გააგრძელა 2018 წელს დაწყებული აქტიური მუშაობა საბაჟო კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული იყო კანონპროექტების პაკეტი, რომლითაც ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან დაახლოება და საბაჟო და საგადასახადო სფეროების მარეგულირებელი დებულებების გამიჯვნა.

აღსანიშნავია, რომ შენარჩუნდება ყველა პროცედურული გამარტივება, რომლებიც საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიან ადმინისტრირებას უკავშირდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები:

- სპორტული ავტომობილებისათვის აქციზის გადასახადი ფიქსირებულად – 100 ლარის ოდენობით განისაზღვრა. ამასთანავე, ავტომობილის სპორტული დანიშნულების ავტომობილად მიჩნევის წესსა და კრიტერიუმებს, რომელთაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
- დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე და იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონელი.
- საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან 2022 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდნენ ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ

საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან.

- ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისას აქციზის გადასახადზე დაწესებული 60%-იანი შეღავათი შეიცვალა. შეღავათი გაუქმდა მარჯვენასაჭიანი ჰიბრიდული ავტომობილებისათვის. ამასთანავე, მარჯვენასაჭიანი ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილებისათვის განისაზღვრა აქციზის განაკვეთი, რომელიც გაიანგარიშება წლოვანების მიხედვით მსუბუქი ავტომობილებისათვის განსაზღვრული აქციზის განაკვეთის 2000-ზე ნამრავლით. ცვლილებამდე არსებული რედაქციით ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილების იმპორტი გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა გამართა 20 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა 7 ნორმატიული აქტის პროექტი, 29 ძირითადი და გამომდინარე კანონპროექტი, 1 საერთაშორისო ხელშეკრულება. მომზადდა კომიტეტის 10 დასკვნა, 2 რეკომენდაცია.

კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს მთავრობა აანალიზებს სახელმწიფოს განვითარების საკითხებში ახალგაზრდობის მზარდი როლის მნიშვნელობას და საჭიროდ მიიჩნევს, ჩამოაყალიბოს ახალი უწყება, რომლის კონტროლსაც განახორციელებს უშუალოდ პრემიერ-მინისტრის აპარატი. ახალგაზრდობის სფეროზე პასუხისმგებელი უწყებების (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი და სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი) შეერთებით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა შეიმუშავა და განიხილა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 6 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 14 კანონი). კომიტეტმა

განიხილა 45 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 235 კანონპროექტი), 2 საერთაშორისო შეთანხმება, 13 საკანონმდებლო წინადადება (1 საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავდა საკანონმდებლო ინიციატივა). კომიტეტისა და კომიტეტის წევრების მიერ ინიცირებულია 8 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 24 კანონპროექტი). მათგან მიღებულია 6 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 14 კანონი), ხოლო განხილვის პროცესშია 2 საკანონმდებლო ინიციატივა (სულ 10 კანონპროექტი). კომიტეტმა შეიმუშავა 85 დასკვნა, გამართა 26 სხდომა და 160-მდე მნიშვნელოვანი შეხვედრა. შედგა კომიტეტის წევრთა 5 მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტი. კომიტეტმა განიხილა 1535-მდე განცხადება.

კანონპროექტებიდან აღსანიშნავია:

- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და მისგან გამომდინარე 3 კანონი.

კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონი გახდა ორგანული. ყველა დარგში არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით განისაზღვრა ოპერირების ერთიანი სტანდარტი. დადგინდა ქმედითი და ეფექტიანი აღსრულებისა და ინსპექტირების მექანიზმი. ჩამოყალიბდა მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა. გაიმიჯნა დამსაქმებლის, დასაქმებულის, მათ შორის, უსაფრთხოების დაცვასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი პირის და შრომის ინსპექციის უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები.

- „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონი.

კანონით დადგინდა უცხო ქვეყნის სპეციალისტისთვის საქართველოში დროებითი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ან ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების უფლების მინიჭების წესი.

- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონი.

2018 წლის 1 ივნისიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების თანამშრომლების (რომლებიც მონაწილეობდნენ სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო/სამაშველო სამუშაოებში ან რომელთაც მინიჭებული აქვთ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის უფლებამოსილება) ოჯახის წევრებს ყოველთვიურად დაუწესდათ 1000-ლარიანი კომპენსაცია.

- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონი.

თამბაქოზე დამოკიდებულების სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი განთავისუფლდა დღგ-ისაგან.

- „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონი და მისგან გამომდინარე 3 კანონი.

თამბაქოსა და ნიკოტინის ნაწარმი, რომელიც არ არის დაკავშირებული წვის პროცესთან (თამბაქოს ახალი ნაწარმი), დაექვემდებარა რეგულირებას და მოექცა სამართლებრივ რეჟიმში. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, თამბაქოს ნაწარმია აგრეთვე თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები.

- „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონი და მისგან გამომდინარე 9 კანონი.

ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფუნქციების შესრულების გარდა, პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის განხორციელებისთვის.

საპარლამენტო კონტროლი

საპარლამენტო კონტროლი საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრეროგატივაა.

2019 წელს პარლამენტი შეხვდა ახალი რეგლამენტით განსაზღვრული ეფექტიანი და მოქნილი საზედამხედველო ინსტრუმენტებით: პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენებით; ინტერპელაციის დახვეწილი პროცედურით; დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის გამარტივებული წესით; მინისტრის საათით; კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის მიერ მინისტრის დაბარების უფლებით და სხვა. პირველად საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტარიზმის ისტორიაში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ჩამოყალიბდა ნამდვილ პოლიტიკურ ცენტრად, რომელსაც შესწევს ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილების სისტემის გამართულად მართვისა და მთავრობის საქმიანობის წარმატებული კონტროლის უნარი.

2019 წელს მინისტრის საათის ფარგლებში პარლამენტში მოუსმინეს 10 მინისტრს, ინტერპელაციის წესით კი მოწვეული იყვნენ პრემიერ-მინისტრი, ორი მინისტრი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 154-ე მუხლის შესაბამისად, 2019 წელს პლენარულ სხდომაზე შედგა მთავრობის ორი წევრის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და სახალხო დამცველის მოსმენა. ამასთანავე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარედგინა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ცხრა ორგანოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიშები.

საქართველოს პარლამენტი მუდმივად ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს. განხილულ იქნა პარლამენტისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3, 6 და 9 თვის ანგარიშები და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

2019 წლის განმავლობაში პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის წევრებმა წერილობითი კითხვის წესით შესაბამის უწყებებს გაუგზავნეს 925 სადეპუტატო შეკითხვა, რომელთაგან წერილობითი პასუხი გაეცა 83%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 335 განცხადება, რომლებზედაც ოფიციალური პასუხები და შესაბამისი მასალა გაეგზავნათ ადრესატებს.

2019 წლის განმავლობაში შეიქმნა 12 თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომლებიც მუშაობდნენ შრომის უსაფრთხოების, სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობის, სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმდინარეობის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხების, მუნიციპალური ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობის, სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის, სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტების და პრაქტიკების და სხვა საკითხებზე.

2019 წელს საქართველოს პარლამენტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 335 განცხადება (მათ შორის, მოქალაქეთა 200 განცხადება), რომლებზედაც ოფიციალური პასუხები და შესაბამისი მასალა გაეგზავნათ ადრესატებს.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრირებულია 72152 დოკუმენტი, კერძოდ: შემოსული – 26457, შიდა მიმოწერა – 23786, გასული – 14608, სამართლებრივი აქტი – 7301. ეს მონაცემი 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 9300 დოკუმენტით მეტია.

კომიტეტების საზედამხედველო საქმიანობის დეტალური ანგარიში

აგრარულ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტმა საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში განიხილა 14 საკითხი, რომელთა დიდი ნაწილი უკავშირდებოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში არსებული უწყებების საქმიანობას და პროექტების განხორციელების მიმდინარეობას. აღნიშნული საკითხების განხილვას კომიტეტის 8 სხდომა დაეთმო:

- კომიტეტის 2019 წლის 18 თებერვლის სხდომაზე მოსმენილი იქნა ინფორმაცია:
 - სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ეფექტიანობის შესახებ;
 - ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შესახებ;
 - მცენარეთა დაცვის და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის შესახებ;
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.
- კომიტეტის 2019 წლის 25 მარტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია:
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ;
- კომიტეტის 2019 წლის 13 მაისის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა“;
- კომიტეტის 2019 წლის 10 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ და „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“.
- კომიტეტის 2019 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია: შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის თაობაზე.

- კომიტეტის 2019 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების შესახებ;
- კომიტეტის 2019 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 9 თვის მიმოხილვა.
- კომიტეტის 2019 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
-

2019 წლის 5 აპრილს კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დასავლეთ საქართველოში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნენ და მოისმინეს ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ.

2019 წლის განმავლობაში აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და წევრებმა გამართეს შეხვედრები ექსპერტებთან, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სახელზე შემოსულია 250 განცხადება, რომლებზედაც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შევიდა და დამუშავდა მოქალაქეთა 2868 განცხადება. შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები და მიმართულებები: შემოსული განცხადებების 13%-მდე ეხება სოციალურ საკითხებსა და ჯანმრთელობის დაცვას, 44% – გამოძიებისა და მართლმსაჯულების სფეროს, სასჯელაღსრულების საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების წილი 4,2%-ს შეადგენს, სასჯელისგან განთავისუფლების თხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა 4,1%-ია, იურიდიული კონსულტაციის კუთხით დახმარების თხოვნას შეეხება შემოსული

განცხადებების 3,8%, დევნილ და საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემატიკას – 1,7%, ხოლო 24% ეხება სხვადასხვა მიმართულის თემებს, როგორცაა კრედიტების რესტრუქტურირაცია, ქონებრივი დავები, შრომითი უფლებები და ა. შ.

პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში 2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოისმინა და განიხილა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი 14 ანგარიში. ეს ანგარიშებია:

- სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიში 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში;
- საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა;
- „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“;
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2018 წლის ანგარიში;
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის ანგარიში;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში;
- „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ შესრულების თაობაზე საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიშის პროექტი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშები;
- 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის

თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები;

- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

გაიგზავნა საკომიტეტო კითხვები შემდეგი კანონების აღსრულების მონიტორინგის მიზნით:

- საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
- პროექტის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში შემუშავებული სხვადასხვა მიმართულების საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირებს მიეცემათ საგადასახადო, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული საქართველოს მთავრობის შეღავათებისა და სერვისების მიღების საშუალება.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წელსაც გააგრძელა გასულ წელს დაწყებული პრაქტიკა სამოქალაქო სექტორის მიერ წარმოდგენილი ე. წ. ჩრდილოვანი ანგარიშების მოსმენისა. 14 ივნისის საკომიტეტო მოსმენაზე წარმოდგენილ იქნა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ანგარიშები „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შეიქმნა თემატური მოკვლევის შემდეგი საპარლამენტო ჯგუფები:

შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები – კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით 2019 წლის 8 მაისს შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი შრომის უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებული გამოწვევების თაობაზე. ჯგუფის შექმნის მიზანია, შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებული ვითარება, მოცემული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები და ამ კუთხით არსებული გამოწვევები. თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ამ კუთხით საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და პრობლემების გამომწვევი მთავარი მიზეზები. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა

დასკვნა და სახელმწიფო უწყებების მიმართ გაიცა რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პრობლემების ეფექტიანად აღმოფხვრის მიზნით. თემატური მოკვლევა განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციის – USAID-ის ჩართულობით.

ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის – კომიტეტის ინიციატივით 2019 წლის 3 ივლისს შეიქმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომლის მიზანია სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ორგანოებისთვის, აგრეთვე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან მიმართებით.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზედამხედველობის კუთხით განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მოისმინა:

- საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიში.
- „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“ და „დანართების“ განახლებული ვერსია.
- საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა.
-

2019 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია 11 ნორმატიული აქტის აღსრულების თაობაზე.

2019 წლის განმავლობაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა რეაგირება მოახდინა მოქალაქეთა 512 წერილზე.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი სხდომები:

- კომიტეტის 2019 წლის 18 თებერვლის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების 2019 წლის 12 აპრილის ერთობლივი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა პლასტიკის, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის საკითხები.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების 2019 წლის 27 მაისის ერთობლივი სხდომა, რომელიც შედგა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ინიციატივით და რომელზედაც განხილულ იქნა გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის თავზე მიღებული შედეგები.
- კომიტეტის 2019 წლის 30 სექტემბრის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ.

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და

საზოგადოებასთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 147 სადეპუტატო შეკითხვა, რომლებიც გასული წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გაეგზავნა სახელმწიფო სტრუქტურებსა და მუნიციპალიტეტებს.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა მოქალაქეთა 231 წერილი და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

საკონტროლო საქმიანობის მიმართულებით კომიტეტმა გამართა 17 საკომიტეტო მოსმენა, რომლებზედაც განხილულ იქნა კომიტეტის საზედამხედველო სფეროში შემავალი უწყებების ანგარიშები და ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხების მდგომარეობა. კომიტეტმა განიხილა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიში, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის ანგარიში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში და სხვა. წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით კომიტეტმა აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო უწყებებისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიმართ გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით კომიტეტმა მოისმინა „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების ანგარიში, აგრეთვე ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 6 თვის ანგარიშები ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგებში.

კომიტეტმა:

- 2019 წლის 13 მაისს სხდომაზე მოისმინა სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში.
- 2019 წლის 3 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- 2019 წლის 13 მაისის სხდომაზე განიხილა და დადებითად შეაფასა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ანგარიში.
- 2019 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში.
- 2019 წლის 13 მაისის სხდომაზე მოისმინა სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში.
- 2019 წლის 22 მაისის სხდომაზე განიხილა სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში.
- 2019 წლის 22 მაისის სხდომაზე განიხილა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018 წლის ანგარიში და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
- 2019 წლის 26 თებერვალს მოისმინა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოხსენება ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული ახალი რეგულაციებისა და „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებული პროცესების შესახებ.
- 2019 წლის 23 აპრილს მოისმინა საპენსიო სააგენტოს დირექტორის მოხსენება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით.
- 2019 წლის 7 ივნისს მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოხსენება (განსახილველი საკითხები: 1. ჭიათურაში მადაროელების გაფიცვა; 2. ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა; 3. 2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები; 4. „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულება).
- 2019 წლის 13 თებერვალს მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოხსენება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ“.
- 2019 წლის 12 აპრილს მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოხსენება პლასტიკის, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით.
- 2019 წლის 27 მაისს მოისმინა სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოხსენება საპარტნიორო ფონდის საქმიანობის შესახებ.
- 2019 წლის 26 სექტემბერს მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოხსენება ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით.
- 2019 წლის 30 სექტემბერს მოისმინა სოფლისა და სოფლის მეურნეობის

განვითარების სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის უფროსის მოხსენება აგროდაზღვევის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

- 2019 წლის 8 მაისს მოისმინა შპს „მაშველი-2007“-ის დირექტორის მოხსენება მიწისქვეშა მოქმედი და მშენებარე მომეტებული საფრთხის შემცველი საწარმოო ობიექტების სამთო მაშველი სტრუქტურების მომსახურების გაუმჯობესების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.
- 2019 წლის 26 სექტემბერს მოისმინა „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების ანგარიში.
- 2019 წლის 26 სექტემბერს მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში „ტრანსპორტის დარგში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ“.
- 2019 წლის 28 ოქტომბერს მოისმინა „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთებით აღებული ვალდებულებების და ენერგეტიკის დარგში ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის 6 თვის ანგარიში“.

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომიტეტში შემოვიდა სულ 412 წერილი და განცხადება. მათ შორის, სხვადასხვა უწყებიდან და ორგანიზაციიდან შემოსულია 313 წერილი, ხოლო მოქალაქეებისგან მიღებულია 99 განცხადება. 2019 წლის განმავლობაში შემოსული 412 წერილიდან 24 წერილი და განცხადება განხილვის პროცესშია. აღნიშნული კორესპონდენციის ნაწილი გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში, ხოლო ნაწილზე გაიმართა შეხვედრები.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომები და სამუშაო შეხვედრები იმართებოდა რეგულარულად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დარგის არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოების მონაწილეობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზედამხედველობის კუთხით კომიტეტმა მოისმინა:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიში (2019 წლის 10 მაისი);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოხსენება საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე (2019 წლის 4 ივნისი);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“ (2019 წლის 13 ივნისი);
- საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვა (დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომა, 2019 წლის 5 ნოემბერი).

აგრეთვე მოსმენილ იქნა:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის და მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ;
- სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს დირექტორის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ გათვალისწინებულ პროექტებში უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა და დაბრუნებული მიგრანტების ჩართულობას, არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციას;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმიდან და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, არსებულ მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფორმატში კომიტეტი ზედამხედველობას უწევდა საგარეო უწყების მიერ გაწეულ საქმიანობას, „ლევილის მამულის“ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და მომავალში მისი ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბების საკითხს.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 243 განცხადება, სხვადასხვა სახის შუამდგომლობები და წერილები. ყველა განხილულ იქნა და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

საზედამხედველო ფუნქციის განსახორციელებლად კომიტეტი როგორც ცალკე, ისე დარგობრივ კომიტეტებთან ერთად ისმენს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების პერიოდულ ანგარიშებს, რის შედეგადაც კომიტეტი აკონტროლებს მათ შესრულებას და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. ამასთანავე, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი სხვა კომიტეტებთან ერთად შეისწავლის და განიხილავს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებულ ალტერნატიულ თემატურ ანგარიშებს, რომელთა მომზადებას უზრუნველყოფს „ღია საზოგადოების ფონდის“ პროექტი „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“.

ამ საქმიანობით კომიტეტი ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებებისა და დაგეგმილი რეფორმების დროულად და ეფექტიანად შესრულებას, რეფორმების პროცესში საზოგადოების ჩართულობას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დისკუსიის წარმართვას. 2019 წელს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა დამოუკიდებლად და სხვა საპარლამენტო კომიტეტების მონაწილეობით გამართა 17 საკომიტეტო მოსმენა სხვადასხვა საკითხზე:

- 2019 წლის 1 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიში 2018 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგის შესახებ;
- 2019 წლის 18 თებერვალს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 13 მარტს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წარმოადგინა სამინისტროს ანგარიში განათლების მიმართულებით ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;

- 2019 წლის 14 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში, მათ შორის:
 - 2019–2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის წარდგენა;
 - ასოცირების შეთანხმების განხორციელების და კოორდინაციის მექანიზმი და შესრულების მდგომარეობა;
 - ინფორმაცია ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს მეხუთე სხდომის შედეგების შესახებ;
 - ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის შესახებ;
 - ინფორმაცია შენგენის ზონის ქვეყნებთან საქართველოს უვიზო მიმოსვლის მიმდინარეობის შესახებ;
- 2019 წლის 18 მარტს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა სამინისტროს მიერ დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2019 წლის 25 მარტს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 10 აპრილს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 13 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გენერალური აუდიტორის მოადგილემ, საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორმა წარმოადგინეს ანგარიში ფინანსური მომსახურების, დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

- 2019 წლის 27 მაისს კომიტეტმა მოისმინა ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ მიერ მომზადებული ანგარიში „ერთი წელი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან: გამოვლენილი ნაკლოვანებები“;
- 2019 წლის 16 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა სამინისტროს მიერ დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის პირველი ნახევრის შესრულების ანგარიში;
- 2019 წლის 26 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 26 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- 2019 წლის 26 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში ტრანსპორტის დარგში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 30 სექტემბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 11 ოქტომბერს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წარმოადგინა ანგარიში განათლების მიმართულებით ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ;
- 2019 წლის 22 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ;

- 2019 წლის 28 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთებით აღებული ვალდებულებების და ენერგეტიკის დარგში ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის 6 თვის შესრულების შესახებ“;
 - კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვის თაობაზე“;
 - კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვის თაობაზე“;
 - კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვის თაობაზე“.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019–2022 წლებისთვის, შეისწავლა უშუალოდ მისი ზედამხედველობის სფეროში შემავალი უწყებისთვის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული პროგრამების მიზნობრიობა, აგრეთვე სხვადასხვა სფეროში ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზების საკითხი. კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის მიმოხილვის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა 221 წერილი, მათ შორის, 68 მოქალაქის და 153 სხვადასხვა უწყების. საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა მიიღო მოქალაქეთა 68 განცხადება და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

საკონტროლო საქმიანობის მიმართულებით კომიტეტმა:

- 2019 წლის 22 აპრილს მოისმინა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორებიცაა: ოკუპირებული ტერიტორიები, იქ არსებული მდგომარეობა და შესაბამისი უწყებების მიერ გაწეული საქმიანობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრაზვერვითი საქმიანობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, ანალიტიკური საქმიანობა და უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა.
- 2019 წლის 7 მაისს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ და წევრებმა საოკუპაციო ხაზის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებული გადასასვლელები და საგუმბაგო პუნქტები დაათვალიერეს და უსაფრთხოების კუთხით იქ არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ. პარლამენტის წევრებმა ენგურის ხიდი, სოფლები – ორსანტია, ხურჩა, საბერიო და დარჩელი მოინახულეს და ადგილზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გაესაუბრნენ.
- 2019 წლის 8 მაისს კომიტეტის წევრებმა სუფსაში განთავსებული საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC) დაათვალიერეს და მის საქმიანობას გაეცნენ. ერთობლივი მართვის ცენტრი სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს საზღვაო სივრცეში სასაზღვრო-საზღვაო პოლიტიკის გატარებას, დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შესრულების კონტროლს და საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული ზომების მიღებას უზრუნველყოფს.
- 2019 წლის 11 ოქტომბერს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა საოკუპაციო ხაზი მოინახულეს. ისინი ხურვალეთში, გუგუტიანთკარსა და დიცში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს გაეცნენ.
- 2019 წლის 28 ოქტომბერს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე (დახურულ ფორმატში) რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ

ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მოუსმინეს.

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა უწყებაში გააგზავნეს 21 კითხვა. მათგან 9 კითხვას პასუხი დროულად გაეცა, 1 კითხვას – დაგვიანებით, ხოლო 11 კითხვა პასუხგაუცემელია.
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეთა 224 განცხადება. მათგან პასუხი გაეცა 203 განცხადებას.
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის მიმოხილვები, აგრეთვე საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებასთან ერთად. აღნიშნულ საკითხებზე საერთო ჯამში ჩატარდა კომიტეტის 4 სხდომა.
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ვერსიის განხილვისას, ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, სხვადასხვა პროგრამისა თუ ქვეპროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის, აგრეთვე დაბალი რანგის მქონე თანამშრომლების ხელფასების ზრდისათვის კომიტეტმა შესაბამისი უწყებებისათვის შეიმუშავა რეკომენდაციები საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდასთან დაკავშირებით.
- კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური ანგარიშები და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“.
- საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან.
- კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოების საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვასთან დაკავშირებული

მოსალოდნელი ოპერაციების წინასწარ გაცნობას და საპარლამენტო კონტროლს, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული ან/და დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს.

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტი აკონტროლებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობას. ამ მიზნით იგი შეისწავლის და აანალიზებს აღნიშნული ნორმატიული აქტების ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს. მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები „იარაღის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებში (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია ორი მოსმენით).
- ამასთანავე, კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებს უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით საკანონმდებლო ორგანოების ჩართულობის გაზრდას. მაგალითად, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ანტიტერორისტულმა კომიტეტმა შეიმუშავა ინიციატივა, რომელიც საზღვრის კონტროლისა და ინფორმაციის გაზიარების კუთხით ეუთოს წევრი ქვეყნების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ჩართულობას ითვალისწინებს. ამ მიზნით ეუთომ მოამზადა საპარლამენტო კითხვარი მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისათვის. ეუთოს მიერ შემუშავებული კითხვარის მიხედვით კომიტეტმა მიმართა შესაბამის უწყებებს (საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) და მოითხოვა ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. კომიტეტმა შეისწავლა უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2019 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განიხილა არაერთი უწყების ანგარიში და შეიმუშავა დასკვნები. კერძოდ, კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისთვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის

შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი და „სამთავრობო პროგრამა 2019-2020“;

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ შესრულების თაობაზე საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიშის“ პროექტი;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის შესაბამისად, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის სისტემის შესახებ კონცეფცია;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საქართველოს მთავრობის ანგარიშზე“;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიშები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის საქმიანობის შესახებ“ ანგარიში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ წარმოდგენილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ“ 2018 წლის ანგარიში.

2019 წელს კომიტეტს წარედგინა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირება განხორციელდა მოქალაქეებისა და დაინტერესებული პირების 2536 განცხადებაზე (წერილზე).

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში კომიტეტმა დაიწყო თემატური მოკვლევა საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლის მიზნით. აღნიშნული მოკვლევის მიზანია, შეაჯამოს ყველა კვლევა, რომლებიც არსებობს საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზაციის მიმართულებით. ის შეიძლება საფუძვლად დაედოს სახელმწიფოს მიერ აღნიშნული მიმართულებით შესამუშავებელი პოლიტიკის დოკუმენტს.

ამასთანავე, კომიტეტის ინიციატივით პარლამენტში შეიქმნა საპარლამენტო ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავდა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტს. შეხვედრები ღია იყო ყველა დაინტერესებული მხარისთვის. განხილვების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი ასახულია სტრატეგიაში.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომებზე განხილულ იქნა:

- საქართველოს სახალხო დამცველის თემატური ანგარიში „მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ინფორმაცია საზღვრისპირა და გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში არსებული მდგომარეობის შესახებ (დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების თაობაზე);
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიში „საქართველოს რეგიონებში (მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობის წყლის და წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების უზრუნველყოფისთვის 2018-2019 წლებში მიმდინარე სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ანგარიში „საქართველოს რეგიონებში გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების შესახებ“;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის ანგარიში „საქართველოს რეგიონებსა და ქ. თბილისში მყარი ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესახებ“;
- მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მდივნის ინფორმაცია „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიისა და არსებული მდგომარეობის შესახებ“ (2019–2023 წწ.);
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის ანგარიში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის ანგარიში სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის ანგარიში „ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საქმეში 2018-2019 წლებში გაწეული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ“.

კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის პრაქტიკაშია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მდგრადი მონიტორინგი.

საკითხთან დაკავშირებით 2019 წელს კომიტეტში შემოვიდა 2 ინფორმაცია. კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა შესაბამისი სამინისტროს უფლებამოსილი სამსახურის ანგარიში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტი უზრუნველყოფს მოქალაქეთა წერილებისა და მიმართვების განხილვას და მათზე რეაგირებას. საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 488 წერილი, მათ შორის, მოქალაქეთა 259 წერილი. წერილები, განცხადებები და მიმართვები განხილულია დადგენილი წესით. კომიტეტში მიღებულია 200-ზე მეტი პასუხი და შეტყობინება.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების კუთხით კომიტეტმა მოისმინა:

- „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“ და საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2019 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

- საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (თანდართულ მასალებთან ერთად), დოკუმენტი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020–2023 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის“.
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა.

2019 წლის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გაიმართა შემდეგი მოსმენები:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის მოსმენა არაღიარების პოლიტიკისა და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოსმენა 2019–2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოსმენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსმენა ეკონომიკური დიპლომატიისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების 2018 წლის მიმოხილვის შესახებ;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის – დავით ზალკალიანის მოსმენა (მთავრობის შემადგენლობის ცვლილების ფარგლებში მინისტრმა წარმოადგინა სამთავრობო პროგრამა);
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოსმენა (თემა: „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ინიციატივის შესრულების ანგარიში) (დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის ერთობლივი სხდომა, დახურულ ფორმატში);
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მოსმენა (თემა: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება) (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული

დროებითი კომისიისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ერთობლივი სხდომა, დახურულ ფორმატში).

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსული იყო 20-მდე წერილი როგორც კერძო პირებისგან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. ყველას გაეგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი აფასებდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის აღსრულების მდგომარეობას, აანალიზებდა გამოვლენილ ხარვეზებს, ახდენდა მათზე სათანადო რეაგირებას, იღებდა ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომიტეტმა მოამზადა და პარლამენტის ბიუროს გაუგზავნა ინფორმაციები საქართველოს კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, 2019 წლის 1 აპრილის, 25 სექტემბრისა და 18 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის განმავლობაში კომიტეტში შემოვიდა საქართველოს მოქალაქეთა 88 განცხადება. კომიტეტმა შეისწავლა აღნიშნული განცხადებები და მოახდინა შესაბამისი რეაგირება. მათგან 37 განცხადებაზე მომზადდა და გაიგზავნა პასუხები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“ (2020–2023 წლებისათვის). კომიტეტმა, როგორც საბიუჯეტო პროცესებზე ზედამხედველმა ორგანომ, დაგეგმა დარგობრივი კომიტეტების მიერ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის 2019 წლის ივნისში განხილვა და სხვადასხვა კომიტეტის მიერ გამოთქმული წინადადებები და რეკომენდაციები საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნასთან ერთად გაუგზავნა საქართველოს მთავრობას.

2019 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტის განხილვებს საქართველოს პარლამენტში.

კომიტეტის ხელმძღვანელობით წარიმართა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის შესაბამისი დოკუმენტის „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020–2023 წლებისათვის“ გადამუშავებული და საბოლოო ვერსიების განხილვები. საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი 2019 წლის 10 დეკემბერს მიიღო.

საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესიდან გამომდინარე, კომიტეტმა 2019 წლის ივნისში განიხილა საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს პარლამენტთან არსებული ორგანიზაციების საბიუჯეტო განაცხადები და მოამზადა შესაბამისი დასკვნები და გადაწყვეტილებები. კერძოდ, კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა:

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“;
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
4. საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
5. საქართველოს პარლამენტთან არსებული კვლევითი ცენტრის 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
6. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის საბიუჯეტო განაცხადი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2019 წლის თებერვალში კომიტეტმა განიხილა და შეიტანხმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კომიტეტში შესათანხმებლად წარმოდგენილი „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული 2014 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუდმივად ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, კერძოდ, კომიტეტს ელექტრონული ფოსტით სახაზინო სამსახური გადასცემს ყოველდღიურ ინფორმაციას

შემოსავლების შესახებ, მოკლე საბალანსო ცხრილს შემოსავლებისა და გადასახდელების შესახებ.

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით.

2019 წლის ივნისში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ განხილვებს პარლამენტის კომიტეტებში, უმრავლესობასა და უმცირესობაში. წლიური ანგარიში განხილულ იქნა და შესაბამისი დადგენილებით დამტკიცდა პარლამენტის სხდომაზე.

კომიტეტმა დაგეგმა და კოორდინაცია გაუწია საქართველოს პარლამენტში ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის შესრულების მიმოხილვების“ განხილვას.

- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2019 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და მხარი დაუჭირა „2020–2022 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ პროექტს, რომლის თანახმად, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2020–2022 წლისთვის შეადგენს 3 პროცენტს.
- კომიტეტმა 2019 წლის 10 ივნისის სხდომაზე მოისმინა „საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის ანგარიში“.
- კომიტეტმა 2019 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე მოისმინა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში“.
- პარლამენტის სხდომაზე განხილულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში. ამ ანგარიშთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი.
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, 2019 წლის 4 მარტს კომიტეტმა „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებულ პროცესებთან დაკავშირებით მოუსმინა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს.
- 2019 წლის 23 აპრილს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მოუსმინა საქართველოს ფინანსთა მინისტრს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 165-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში გამართულ 9 სხდომაზე განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 12 აუდიტის

ანგარიში შესაბამისი 75 რეკომენდაციით, შეიმუშავა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგინა რეკომენდაციების პროექტები. აღნიშნულ ანგარიშებზე მომზადებული რეკომენდაციების პროექტებიდან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა 11 პროექტის შესაბამისი 68 რეკომენდაცია.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

საზედამხედველო საქმიანობის ნაწილში კომიტეტმა უზრუნველყო შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელება:

- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის 2015–2020 წწ.“ შესრულების შეფასების ანგარიშის მოსმენა;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი 6 თვის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა;
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების მოსმენა;
- საქართველოს სახელმწიფო ბიჯეტის შესრულების პერიოდული ანგარიშების მოსმენა და საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა;
- სპორტული ფედერაციების საქმიანობისა და პრობლემატური საკითხების მოსმენა;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 46-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგის და განვითარების სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015–2020)“ შესრულების შეფასების ანგარიშების მოსმენა.

კომიტეტთან არსებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორინგის და განვითარების სამუშაო ჯგუფის ფორმატში მომზადდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015–2020 წწ.)“ შესრულების შეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს აგრეთვე ახალგაზრდული პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებების მიმართ რეკომენდაციების ნაწილს.

- 2019 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული საქმიანობის და დაგეგმილი პრიორიტეტების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა.

გასული წლის აპრილიდან დაიწყო ახალგაზრდული სფეროს რეფორმირების პროცესი, რომლის მიზანია ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის ჩამოყალიბება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის – ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის გაერთიანების საფუძველზე ახალგაზრდობის სააგენტოს ჩამოყალიბებით გასული წლის 26 აგვისტოს წარმატებით დასრულდა რეფორმის პირველი ნაწილი. სტრუქტურული ცვლილებების გარდა, რეფორმით განსაზღვრულია აგრეთვე შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით მუშაობა: 1. ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ახალგაზრდული პოლიტიკის საკოორდინაციო მექანიზმების განვითარება; 2. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება; 3. ახალგაზრდების მონაწილეობისა და შესაძლებლობების განვითარება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეფორმის მეორე ნაწილის განხორციელება, რაც გულისხმობს რეფორმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებას და დოკუმენტების მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოვიდა 300-მდე განცხადება. კომიტეტმა ყველა შეისწავლა და რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებს გადასცა. განცხადებების ძირითადი თემატიკა იყო სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში არსებული გამოწვევები, აგრეთვე კომიტეტის წევრებთან შეხვედრები.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში:

- კომიტეტმა მოუსმინა საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
- კომიტეტმა მოუსმინა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშს;
- მიმდინარეობდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების აღსრულების კონტროლი;

- კომიტეტში შექმნილია „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო“, რომლის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მონიტორინგი;
- კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს;
- კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში: დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროებში ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2019 წლის პირველი ნახევრის შესრულების თაობაზე;
- კომიტეტის სხდომებზე მოსმენილ იქნა სსიპ – საპენსიო სააგენტოს მიერ 2019 წლის 6 თვის და 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები;
- კომიტეტმა განახორციელა 2 სახელმწიფო პროგრამის – „საყოველთაო ჯანდაცვის“ და „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ მონიტორინგი და შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტები.

2019 წლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტმა მიიღო მოქალაქეთა 2518 განცხადება და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

საგარეო პოლიტიკა

საგარეო მიმართულებით პარლამენტის საქმიანობა კვლავ ეფუძნებოდა და ემსახურებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას, ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გატარებას, ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციას და პარლამენტის შესაძლებლობების გაძლიერებას.

2019 წელს გაგრძელდა საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების გამყარება. ამ კონტექსტში დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება. მათ შორის აღსანიშნავია „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება და „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება“. აგრეთვე, სერბეთის ეროვნულ ასამბლეასთან ხელი მოეწერა პარტნიორობის ხელშეკრულება.

2019 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით პარლამენტმა საქართველოს მთავრობას მიანიჭა უფლებამოსილება, რომ ნატოს სამხედრო ხომალდებისთვის დაადგინოს საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ნავსადგურებში შემოსვლისა და რეიდზე დგომის განსხვავებული წესი, რაც ხელს შეუწყობს ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავებას და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

გაიმართა არაერთი სამუშაო ვიზიტი და საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა უმაღლესი დონის დელეგაციებს და მნიშვნელოვან ასამბლეებს, მათ შორის, ექვსი ქვეყნის პარლამენტის სპიკერს და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიას. პირველად ჩატარდა პოლონეთ-საქართველოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა.

აღსანიშნავია საპარლამენტაშორისო კავშირის ფორმატი, რომელსაც საქართველო ბოლო წლებია ეფექტურად იყენებს იმ ქვეყნებთან ოფიციალური შეხვედრებისთვის, სადაც მას არ აქვს პირდაპირი წვდომა და რომლებთანაც პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება აუცილებელია ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის.

საგარეო ურთიერთობების მხრივ პარლამენტის ძალისხმევა აისახა არაერთ დოკუმენტში, რომლებსაც აქვს პოლიტიკური, სამართლებრივი ან ფინანსური შედეგები. მათ შორის აღსანიშნავია 2019 წელს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, რომელიც არის აშშ-საქართველოს პარტნიორული ურთიერთობებისა და საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის დასტური.

პარლამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და პარტნიორებთან საპარლამენტო კავშირების გამყარების მიზნით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა პარტნიორ პარლამენტებთან. ამ მხრივ საქართველოს პარლამენტის აპარატი 2019 წლის 1 ოქტომბრამდე თავმჯდომარეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების აპარატების უფროსების ქსელს, რომლის ფარგლებშიც გაიმართა 11 ღონისძიება, მათ შორის, ზამთრისა და ზაფხულის აკადემიები პარლამენტების აპარატების თანამშრომლების მონაწილეობით.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის აპარატის ინიციატივით ქ. თბილისში გაიმართა შავი ზღვის აუზის ნატოს წევრი და ასპირანტი ქვეყნების პარლამენტების აპარატების უფროსების სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც შეთანხმდნენ შავი ზღვის რეგიონის აკადემიის დაფუძნებაზე; თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავიდა სტრატეგიული პარტნიორობა გერმანიის ბუნდესტაგის, ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის პარლამენტების აპარატებთან; ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პარლამენტის აპარატის თანამშრომლების პროფესიონალიზმის ასამაღლებლად გრძელდება წარმატებული თანამშრომლობა ევროპულ პარლამენტთან, ნატო-სთან, ღია სამყაროს ლიდერთა ცენტრთან და სხვა ორგანიზაციებთან.

ღია პარლამენტი

2019 წელს მიმდინარეობდა ღია პარლამენტის მესამე, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2019 წელს დაფუძნდა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი; გაუმჯობესდა პარლამენტის მობილური აპლიკაცია; პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდა დამატებითი ინფორმაცია; შემუშავდა საქართველოს პარლამენტის სტრატეგია „მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ 2019–2030 წლებისათვის, ორწლიანი სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა ამომრჩეველთა საკანონმდებლო ინიციატივებზე ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების, პეტიციის წარდგენისა და მხარდაჭერის ელექტრონული გვერდი, რომელიც ეფექტიანი მექანიზმია იმისათვის, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს დემოკრატიის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა სახალხო ინიციატივის უფლება.

ღია პარლამენტის გეგმის შედგენისა და შესრულების პროცესში პარლამენტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

2019 წლის განმავლობაში პარლამენტი ღია იყო დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საქართველოს პარლამენტის აპარატი

2019 წელს საქართველოს პარლამენტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- შენობის სრული ადაპტირების მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. პარლამენტის შენობა მობილობისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის სრულად ხელმისაწვდომი გახდა;
- გარემონტდა და ტექნიკურად აღიჭურვა მოქალაქეთა მისაღები. სივრცე სრულად ადაპტირებულია მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებთან. სივრცეში შეიქმნება აგრეთვე სპეციალური ოთახი, რომელშიც განთავსდება ყველა მრავალფუნქციური დანადგარი, რომელთა გამოყენებითაც ზემოაღნიშნული პირები სრულფასოვან სერვისს მიიღებენ;
- მოწესრიგდა პარლამენტის სხდომათა დარბაზის დამხმარე ინფრასტრუქტურა (შეიცვალა პლენარულ სხდომათა დარბაზის 2 ცალი 120-ვატიანი უწყვეტი კვების წყარო და მოგვარდა აკუსტიკასთან დაკავშირებული პრობლემა);
- დასრულდა პარლამენტის შენობის „C“ კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები (II ეტაპი);
- გარემონტდა და მოეწყო პარლამენტის შენობის „A“ კორპუსის მესამე სართული, სადაც მოეწყო საკონფერენციო და მაღალი დონის ინდივიდუალური შეხვედრების დარბაზები;
- დასრულდა საქართველოს პარლამენტარიზმის მუზეუმის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- მოეწყო სრულფასოვანი საგამომცემლო სახლი (სტამბა);
- გარემონტდა და სარდაფის სივრცეში მოეწყო სასაწყობო მეურნეობა (450 მ²);
- პარლამენტის ინტერნეტპორტალზე გააქტიურდა „Cloudflare“-ის დაცვის სისტემა, რომელმაც უზრუნველყო სისტემის მასშტაბური კიბერშეტევისგან დაცვა.

მნიშვნელოვანი სიახლე იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის შექმნა, რომელმაც სრულფასოვანი ფუნქციონირება 2020 წლის 1 იანვარს დაიწყო. კონკურსის წესით განხორციელდა ცენტრის დირექტორისა და თანამშრომლების შერჩევა. აგრეთვე, ცენტრისთვის გამოიყო შესაბამისი სამუშაო სივრცე საქართველოს პარლამენტის შენობაში.

პარლამენტის სასწავლო ცენტრში განხორციელდა 6-თვიანი სტაჟირების პროგრამა. სტაჟირების პროგრამის 39 კურსდამთავრებულიდან 10 პარლამენტის აპარატში დასაქმდა. 2019 წლის სექტემბრიდან მოქმედებს საქართველოს პარლამენტის დისტანციური სწავლების პლატფორმა. დისტანციური სასწავლო კურსი გაიარა პარლამენტის აპარატის 115-მა თანამშრომელმა. პარლამენტის აპარატში ასევე შემუშავდა დისტანციური სტაჟირების პროგრამა, რომელიც 2020 წელს დაინერგება. 6-თვიანი გადამზადების კურსის გავლის შედეგად შეიქმნა პარლამენტის ტრენერთა შიდა გუნდი (26 შიდა ტრენერი), ჩატარდა 78 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო პარლამენტის აპარატის 490-მა თანამშრომელმა.

ამოქმედდა საერთაშორისო სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში 2-თვიანი სტაჟირება გაიარა ფიჯის რესპუბლიკის პარლამენტის ადმინისტრაციის თანამშრომელმა.

ევროკავშირთან თანამშრომლობით 2019 წლის ოქტომბერში განხორციელდა პარლამენტის აპარატის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის 4 თანამშრომლის გრძელვადიანი სტაჟირება ევროპულ პარლამენტში (ქ. ბრიუსელსა და ქ. სტრასბურგში). საქართველოს პარლამენტის აპარატსა და ღია სამყაროს ლიდერთა ცენტრს (OPEN WORLD LEADERSHIP CENTER) შორის თანამშრომლობა გაფართოვდა. პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულმა 3-მა ჯგუფმა (15 თანამშრომელი) სტაჟირება აშშ-ის კონგრესსა და საკანონმდებლო ორგანოებში გაიარა. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აპარატის თანამშრომელმა გაიარა 3-თვიანი სტაჟირება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ სამდივნოში.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების გაძლიერებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:

- 37 მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს 53-მა თანამშრომელმა გაიარა 2-კვირიანი სტაჟირების პროგრამა პარლამენტის აპარატის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში;
- 73 მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს 160-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები სახელმწიფო შესყიდვების, საქმისწარმოების, საფინანსო თემატიკისა და საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტის შესახებ.

მჭიდრო ფორმატში გადავიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატთან თანამშრომლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლები ჩართული იყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში განხორციელებულ გაცვლით ვიზიტებში და ზაფხულისა და ზამთრის აკადემიებში. პარლამენტის სასწავლო ცენტრის შიდა ტრენინგებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩაატარეს ტრენინგები საქართველოს პარლამენტის ახალ რეგლამენტთან დაკავშირებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის 16-მა თანამშრომელმა გაიარა დისტანციური სწავლების კურსი საპარლამენტო კონტროლის თემაზე.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის გეგმები

2020 წელს პარლამენტი გეგმავს არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმის განხორციელებას. მათ შორის, განიხილება საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებას ისახავს მიზნად. აგრეთვე, ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე ინტენსიურად გაგრძელდება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან.

გარდა ამისა, დაგეგმილია მუშაობა:

- აკვაკულტურის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე - რომლის მიზანია ეკონომიკის ამ სექტორის გაძლიერება, წარმადობის გაზრდა და შიდა მოთხოვნის უფრო მეტად უზრუნველყოფა;
- აზარტული თამაშების რეკლამის შესახებ ცვლილებებზე - რომელიც უკეთ დაიცავს ბავშვებს და ახალგაზრდებს აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენისგან, შეზღუდავს თამაშებზე დაშვებას ასაკობრივად, ხოლო თამაშდამოკიდებულ პირებს და მათ ოჯახებს დაეხმარება ამ პრობლემის მართვაში;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც შექმნის სტუდენტობის პერიოდში სოციალური უფლებების და ბენეფიტების, სტაჟირების და დასაქმების ახალ მექანიზმებს და ახალ შესაძლებლობებს;
- „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტზე, რომლის მიზანია ევროპული სტანდარტების შესაბამისად წყლის რესურსების მართვის ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- „ტყის კოდექსზე“ რომელიც უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მდგრადობას და ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას;
- განათლების სისტემის დაფინანსებასა და რეფორმირებაზე - 2022 წლისთვის განათლების სისტემის დაფინანსება არ უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები;
- აგროტურიზმის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, რომლითაც ორი უმნიშვნელოვანესი სფერო - სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ერთმანეთს დაუკავშირდება;
- მთავრობასთან ერთად საგადასახადო კოდექსის ცვლილებებზე, რომელიც კერძო სექტორს უფრო გამჭვირვალე, მოქნილ და სამართლიან წესებს შესთავაზებს და კიდევ უფრო შეამცირებს ბიუროკრატias;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადასინჯვაზე;
- კონკურენციის შესახებ და ანტიდემპინგურ კანონმდებლობაზე.

საქართველოს კონსტიტუციითა და რეგლამენტით დადგენილი საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანი ფორმების გამოყენებით პარლამენტის სუბიექტები განახორციელებენ ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა: ინტერპელაცია, მინისტრის საათი, კომიტეტის სხდომაზე მინისტრების მოსმენა და სხვ.

მიმდინარე წელს საპარლამენტო დიპლომატიის მეშვეობით დაგეგმილია ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გამოყენება საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პოზიციების განმტკიცების, დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უყრუნველსაყოფის მიზნით. აღნიშნული მოიცავს ინტენსიურ კომუნიკაციას და თანამშობლობის გაღრმავებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პარტნიორი ქვეყნების კანონმდებლებთან და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, როგორც ორმხრივ ფორმატებში, ასევე მრავალმხრივი ფორუმების, მათ შორის საპარლამენტო ასამბლეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.